თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

11 მაისი — გამოცემა № 19 — კვირაობით — 1836 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გვარათ ხელის მოწერა არ მაიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ბბ. ჭიდაძეებს წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 11 მაისს

არტისტება

მ.მ. მძინარაოვისა

გამართავს წარმოდგენას

ქართული დრამატიული დასის არტისტების დახმარებით

წარმოადგენენ:

I

ალმაზდელები

სამ მოქმედებიანი კომედია თხზ ა. მოჩხუბარიძისა

II

პარიკმახერისას

ფოდეილი 1 მოქმედებად.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ლირიკული პოეზია. *)

დიდაკტიკური ელეგია არის გამოთქმა პრაკტიკულის ცხოვრებისა, როგორსაცა მგოსანი უხატავს ხალხსა, იგი დაიბადა შვიდი ბრძნების დროს; სალონის ელეგიებმა, რამოდენიმე ჩვენს დრომდისაც მოახწია. ერთს თავის ელეგიაში სალონი უწინდელს თანამემამულეთა უკანონობას ემდურება და აწმყო კანონდებულებას ქებას ასხავს: „ჩვენი ქალაქი ზევსის გარდაწყვეტილობით და უკვდავის ღმერთების ძალით არასოდეს არ დაითრუგენება, რადგანაც ათინას ზევსის ბრძენი ასული ჰმფარველობს. დიდი ენება მოუტანეს ჩვენს სამშობლო მხარეს ამ უმგზავსმა წინამძღოლებმა; ვინ იცის რამდენი მხედარნი, მოქალაქენი ამოაჟლეტინეს მტრების მახვილს და სრულიად მიასუსტეს ხალხის კეთილის ბედის წინ მიმდინარეობა; სრულიად უსარგებლო იყო ის ომი, რომელიც ეხლა იმათ ასტეხეს. ბარდა ერთმანეთის პიროვნულის შურის-ძიებისა, სხვა სასარგებლო საქმე არა გაუკეთებიათ რა საბრალო გზა დაკარგული ხალხისათვისა, რომელიც მოდის, მოსტირის თავის ბედსა და ვერ უპოვია ისეთი ადგილი, სადაც თავისუფლად ამოსუნთქვა შეეძლოს. ვინ იცის რამოდენი ხალხი აიყარა თავის სასშობლოდან და სხვა ქვეყანას გარდასახლდნენ, რადგანაც დაეკარგათ საგანი ცხოვრებისათვის. ამიტომ მე ვალდებულადა ვრაცხ ჩემს თავსა, მიუთითო ათინელებსა, თუ რამოდენი ენება მოაქვს ქალაქისათვის უკანონობას; როდესაც კანონდებულება იქნება, მაშინ ყოველისფერი თავ-თავის ადგილას იქნება. იგი სდევნის ბოროტებას, ადარებს ერთმანეთს რამოდენიმე საგანსა და მოვლენას, ამაყთ თავში უკაკუნებს, სთრგუნავს ღარიბ-ღატაკობას, ბრუნდე კაცს ასწორებს, ჩხუბსა და ვაი-ვაგლახსა სპობს. ამ დროს ყველა კმაყოფილია თავის ბედისა“...

*) იხილე „თეატრი“ № 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ელეგიაში თავის კანონ-დებულების ხასიათზედ ლაპარაკობს: «მე ხალხს მივეცი ზომიერი კანონი, მდიდარიც და ღარიბიც ერთნი არიან ჩემი კანონის ქვეშ, ორივეს ერთ ნაირი კანონი აქვთ ცხოვრებაში და საზოგადოებაში. არც ერთს არ აქვთ უფლება, ერთმანეთის დაჩაგვრისა და თუ ვინიცობაა, რომელიმემ მათგანმა ეისმეს შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ ჩემი კანონი ორივეს ერთ ნაირს სასჯელს აძლევს».

მეორე ელეგიაში თავის ცხოვრების შეხედულებაზედა სჯის: «ღმერთისაგან ნაბოძები სიმდიდრე, კაცს საუკუნოთ რჩება და იზდება, დანაშაულობას კაცისთვის სარგებლობა არ მოაქვს, რადგანაც ზევსი ყოველისფრის დასასრულსა, ბოლოსა ხედავს. როგორათაც გაზაფხულის ქარი ღრუბლებს წვიმის მოსვლის დროს მოუსწრაფებს ხოლმე, ამისავე მაგვარათ ღმერთი — შურის-ძიებას, მხოლო ზოგს გვიანა სჯის და ზოგს კი ადრე. ღმერთის წყევა საშვილიშვილოდ გადადის და საბრალო უსუსური, უმანკო შვილები იხდიან თავიანთ წინაპართა სასჯელს»...

მიმნერმა ელეგია დასწერა, რომელშიაც ითხოვდა, რომ სამოცის წლისა მომკვდარიყო უავადმყოფოდ, ერთბაშად და უტანჯველად, სალონი არ დაეთანხმა ამ აზრს და შემდეგის სიტყვებით მიმართა: „უარ ჰყავ ეგ აზრი, რადგანაც ის უფრო უკეთესი იქნება ახალგაზდები დავიხოცნეთ, რომ მეგობრებს ცრემლი და მწუხარება დაუტოვოთ.“

მიმნერის დროს ელეგია ლირიკულს ხასიათს იღებს. სიბერის დროს იმან შეიყვარა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც ფარვანასავით თავს ეველებოდა და სიყვარულს დამღერიდა, აი იმისი პრინციპი:

„უბედურია სიცოცხლე უსიმხიარულოდ და უსიყვარულოდ; ჭაბუკობა ბედნიერი დროა, მხოლო სიბერე კი სიკვდილს წააგავს. რა არის სიცოცხლე და უტკბოესობა, თუ კი ჩემი ოქროს აფრადიტას ვერ შეუკავშირდები. სიკვდილი სჯობია უიმისოთ სიცოცხლეს. დრო ელვასავითა ჰქრება და დგება ლატაკი სიბერე; ჩვენ ვკარგავთ სილამაზეს და თითქმის თვითონ მზის სხივებიც კი აღარ გვახარებენ, ყმაწვილები ახლოს აღარ გვიდგებიან და ახალგაზდა ქალები დაგვცინიან. აი ამისთანა შემაძრწუნებელს წუთათ შეუქნია ღმერთს სიბერე»...

ამისთანავე ხასიათის ელეგიებსა სწერდა სიმონიდი, ხიოსიდგან, (გარდაიცვალა ოთხას სამოცდა ცხრაში ქრისტეს დაბადებამდის) რომლებშიაც უფრო იხატება მწუხარება და კაეშანი. იტალიელები ისე უყურებდნენ ელეგიას, როგორც სამწუხარო სიმღერას. იტალიელმა მგოსანთ დაიწყეს თავიანთ ბოხრებული სამშობლოს მგლოვა და ყოველ იმათ ლექსებში რაღაც მომჯადოებელი იდუმალი, მწუხარებანი იხატებიან, რომელნიც კაცს უღვიძებენ პატიოსნურს გრძნობას, უვითარებენ ესტეტიკიურს გრძნობას. მაგალითად ავიღოთ გამოჩენილი იტალიელი მგოსანი ლეოპარდე, რომელიც მაღლა მთაზედა სდგას და ღრმათ ჩაფიქრებული, გატაცებული წარსულის ნეტარებით დასტირის დღეს მტრებისაგან აოხრებულს იტალიას მართლაც რა სურათს წარმოადგენდა იმ დროს იტალია, როდესაც ქვა-ქვაზედ აღარ დაარჩინეს მოსისხლე მტრებმა და სრულიად ააოხრეს, ერთხელ აყვავებული ქვეყანა. ვის არ გაუღვიძებს მწუხარების გრძნობას ეს სურათი, ვის არ აატირებს ცხარის ცრემლით, როდესაც მოიგონებ, ვინ იცის, რამოდენი ხალხი ამოიჟუჟა და შთაინთქო საუკუნო სამყაროში. ვინ იცის რამდენი სიყვარულისაგან გატაცებულნი მიჯნურნი გარდახვევულნი დაიწვენ თავიანთ სარეცელზედ, როდესაც სასახლეს ცეცხლი მოუკიდეს მოსისხლე მტრებმა. აი ეს მომხიბლავი სურათი აგონდება ლეოპარდეს და მწუხარის ხმით ჰმართავს:

*) სამშობლოვ ჩემო, ეხედამ შენს კედლებს ჩამონგრეულთა,
ეხედავ ბაღებსა, კოშკ-ნანგრევთა აოხრებულთა,
ეხედავ სამკაულთ, ციხე პალატთ მივიწყებულთა,
რას უმშვენებდა იტალიას ყოველ მხარესა!.....
ეხლა მის შუბლი, მისი მკერდი გაღეღილია,
მაგრამ, ვაგლახ მე! ის ბედკრული დაკოდილია!
წყლულით მოცული, სისხლის ზღვას სცურავს!
უფსკრულსა იმთქმის მშველელი არ ჰყავს!
გასაოცარო დედაკაცთა სქესთა ქმნილებავ?!
რამან შეშალა, ტყვეთ მიეცა წრფელი ქმნილება?!
მე აწ მივმართე; დედამიწას და მაღლა ცასა,
ჩემის მხურვალეს ლოცვებითა, მითხარი, მიანბეთ!!
ვინ და როგორ შეურაცჰყვევით ნაზი ქმნილება?!
და ვინ დატვირთა უწყალოთა, მძიმე უღლითა?
ეხლა მიწას ზის ნაღვლიანი შეშინებული,
და თმა გაშლილი, გაწეწილი გახდილი არი!
მეტის სირცხვილით თავს იმალავს ორ მუხლთა შუა
და სტირს უწყალოდ, იმტვრევს ხელებსა!
დეე! იტირე იტალიავ, აოხრებული წელში მოხრილი,
თუმც ერთს კეთილს დროსა ხელთა გეპყრა მთელი ხმელეთი,
თვალთა შენთაგან, რომ იდინოს ორმა წყარომა,
მაინც იმ ტირილს, იმა სირცხვილს ვერ მოანანებ შენს დროებასა!

*) იხილე შერრის ისტორია ნაწ. 2.

ეს დაცემული იტალიის ჩაცხის ტრიალი,
იმ წამს მეშლება ვარდისავით წარსული ჟამნი;
მაგრამ გაუქრა ის ლამპარი ცბიერებისა
და აეყუდა მის ნაგიერ კეცი თიხისა....
და ვინ მოგხადა, თავს გვირგვინი იტალის ბედი?
ვინ შეგარაცგყო? ვინ მოგხადა ბაგეთ პორფირი?
მითხარ, მიამბე, როდის და როგორ,
შენ გადმოვარდი ამ უძირო უფსკრულსა შიგან,
რომელ მკაცრ შფოთში შეესწარი აგრე უძლურათ,
რომ ამ საზარო, აღუწერელს უფსკრულსა სცურავ?!
ოჰ, ღმერთო ჩემო! აღეგრძნეევ სისხლთ მღელვარებავ,
ამ სუსტს, გაყინულს და დაცემულს მგოსანის მკერდსა!!

მეორე ელეგია მოგვყავს ვიღაცა უცნობი საბერძნეთის მგოსანისა, რომელიც საშინელს გულის მღელვარებას ხატავს.

არ ვიცი, რისთვის მიკენესის გული ობოლი, ტანჯული?
რა უნდა, რასა იგონებს, ვის ელის აღელვებული!?
ხან ვსტირი ღამის წყვდიადში, თვალთ მელანდება აჩრდილი,
თეთრის სპეტაკით მორთული, ვით სხივი გაბრწყინებული,
თავს მადგა რაღაც ნაზის ხმით ყურში მეჩურჩულებაო:
„დამშვიდი, ცრემლი მოიშრე, კულავ გელირსება ლხენაო“. . და სხვ.

შემდეგში ჩვენი თანამედროვე მწერლების ელეგიები მოვიყვანოთ და დანარჩენს ლირიკულს პოეზიის ელემენტზედ მოვილაპარაკოთ.

ი. კაგოელი.

ახალი ამბები

◆ იმ ბოლგარიის ეეერიის მღვთის მშობლის ქართულ-ხუცური წარწერა, რომელიც ამას წინეთ ალ. ცაგარელმა გაარჩია და რუსულათ გადასთარგმნა, (ეს გადათარგმნილი პეტერბურგის რუსულს გაზეთებშიაც დაიბეჭდა და თფილისის გაზეთებშიც გადმობეჭდეს) ახსნაში დიდი შეცდომა აღმოჩნდა. შეცდომა შეეხება იმას, რომ ცაგარელს ძველი წარწერის ქრონიკონი ვერ გაურჩევია ხეირიანათ. ამ ხსენებული მღვთის-მშობლის ხატის გარჩევა ამ ორი წლის წინეთ ერთმა მოგზაურ ფოტოგრაფმა გადაიღო და თბილისში ბ. დ. ბაქრაძეს წარმოუდგინა. ეს გადაღებული ახლა ხანს ბაქრაძემ განარჩია და ცაგარელის ახსნას შეუდარა და ბიგ დიდი შეცდომები ჰპოვა. ამის შესახებ ბაქრაძემ კავკაზის არხეოლოგიურს კრებაზე წერილი და ახსნაც წაიკითხა.

◆ წერა-კითხვის სამართველოს, საყმაწვილო წიგნის „რობინზონის“ ბეჭდვა უკვე გაუთავებიათ და მალეც გამოვა გასასყიდათაო. ფასი ექვსი შაური დაუდვიათ

◆ ჩვენ მივიღეთ მეორედ გამოცემული მეხის ამბავი, თაგმ. ბ. შარაშიძისა. დაბეჭდილია პირველს გამოცემაზე სუფთათ და ლამაზათ ფასი 15 კაპ.

◆ ჩვენ შეგვატყობინეს, რომ წელს საყმაწვილო სახელმძღვანელო წიგნი «დედა-ენა» ახალად იბეჭდებაო, ახალი სურათების დამატებით. დასაბეჭდად დანიშნულია 20,000 ათასი ეგზემპლიარი.

◆ თბილისის სამოქალაქო სამართველომ ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ თეატრის აფიშებს ქუჩაში სხვა-და-სხვა სახლის კედლებზე არ აკრავდენ და მით არ თხუპნავდენ კედლებსაო. ამის ასაცილებლად სამართველომ ოთხ-კუთხი სვეტები გააკეთა ამ ბოლოს დროს და დღეს ამ სვეტებზე აკრავენ აფიშებსა. ამაზე უარეს ბინძურობას მთელი თფილისისთვის ის შეადგენს, რომ ყოველი ქუჩა სველია და აყროლებული გამველელ-გამომველელ ხალხის შარდისაგან. კორპუსის ეკკლესიის სამრეკლოს ზემოდამ ისეთ ნაირი ბინძურობა არის და იქ ისე ყარს ხალხის შარდისაგან, რომ თუ კაცმა ცხვირზე ხელი არ მიიფარა, სწორედ შეყნოსვაც კი საშინლათ გაუჭირდება.

მგონი რიგია, რომ ამას უფრო სასტიკი ყურადღება მიეპყრას და ხალხისათვის ფეხის ადგილები გაკეთდეს.

ზაფხულია... ია
ბუჩქს დაუმშვენა ბირია,
ნორჩმა ბალახმა მწვანეთა
შემოსა მინდვრის პირია.

ვარდისა ბუჩქი კოკრითა
მთლად შეიმოსა ტურფადა,
წყარო, მაღალი მთიდგანა,
გადმოსჩქეფს საამურადა.

ხეზედ ტკბილი კალობით
ბუდეს აგებენ შაშვები,
და ჩირგვის ძირში სამდერით
ისა ჭკრეფენ ბაგშვები.

თეატრის მუშა

წერილი სოფ. საგარეჯოდგან.

(დასასრული *)

ჩვენ გვაქვს ამხანაგობის წესდება, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ. მაგრამ მით არა თუ მართლა ვხელმძღვანელობთ, არამედ იგი სრულიად მიტოვებულია საქმის აღებ-დაღებაში. პირველს ერთს წელიწადს კიდე ჰო; კასირს კასიროობა ეტყობოდა, საქმის მწარმოებელს საქმის მწარმოებლობა, რჩევის წევრთ საკუთარი დანიშნულება და სხ. მაგრამ შემდეგ აი აქამომდე ბ. ცხვედაძე ერთსა და იგივე დროს თითონ კასირიც არის და საქმის მწარმოებელიც. ისე ყრილობა არ მოხდარა, რომ მ. თევდორე ბულისაშვილს არ ეთხოვნოს ყრილობისთვის: თავი გამანებეთ, მე გამგეობას ვერ გიწევთ, ჩემს საკუთარს საქმეებსაც ვერ ავდივარ და პასუხის გებაში კი ვარო. მართლაც და წელიწადი ისე გაიელიდა, რომ ერთხელაც არის არ ჩაიხედავდა კასაში, ანუ როგორ მიდიოდა საქმის წარმოება. ხალხი კი ერთხმად ისევ იძახდა თევდორე ბულისაშვილი იყოსო, თითქო ამით კიდეც ასიამოვნებდნენ; და თავის უნებურად ეს უკანასკნელი ხელ-ახლად მოექცეოდა განაჩენში, მითომ კენჭიც უკარეს და კვლავისთვისაც ამოირჩიეს.

შემდეგ წესდებულების ძალით ხუთი კაცია ამორჩეული ზედამხედველს კომიტეტში, რომლების ვალდებულებას შეადგენს თვიური და წლიური ანგარიშების გადათვალიერება და შემოწმება, ღირსეული ამხანაგების მიღება, ბანკისთვის ვალის აღება, ვინიცობაა და ეპირვება იგი, კასის დრო გამოშვებით შემოწმება და შემოსავალ-გასავლის დავთრებთან შეფარდებას და სხ. და სხ. მაგრამ ან ერთხელ შეუმოწმებია ვისმეს კასა, ან ერთხელ უანგარიშნია ვისმეს? ერთის სიტყვით მთელს ამ ხანებში ბანკის ყური ფურრით, დავთრებით და სამივე გასაღებებით ამ ერთს კაცს ეკავა ხელში. აკლდა რამე, თუ ემატებოდა ამისი მკითხველი არავინ იყო და თუ კრინტს დასძრავდა ვინმე და ოდნაც არის ეჭვს შეიტანდა მასში, ვაი იმის ბრალი. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანში მ. დ. ბერძენოვმა და ბაბ. ბულისაშვილმა, ზედამხედველ კომიტეტის წევრთ, ცოტა არა, რომ მიაქციეს ყურადღება ანგარიშს. მსენიც დავთრებიდგან კი ანგარიშობდნენ და კასას კი არასოდეს არ ამოწმებდნენ, რომ სინამდვილე შეეტყოთ. იმას კი ცხადად ატყობდენ, რომ ფული კასაში მხოლოდ თითო-ოროლა თუმნობით იყო ხოლმე. წარსულის წლის ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ 1-ლს იანვარს 1886 წელს კასაში უნდა ყოფილიყო 101 მანეთი 80 კაპ. ერთმა ამხანაგთაგანმა შენიშნა: იყო მართლა, რომ ამბობთ უნდა ყოფილიყოვო, თუ არა? დ. ი. ციციშვილმა და ბ. ბულისაშვილმა სთქვეს, რო 3-ს იანვარს გავშინჯეთ კასა და არ იყოვო. დანიშნეს სამი კაცი გამოეძიებინათ საქმე, ყრილობა კი გადასდეს. ამ სამ კაცში მოვყეევ მეც. გადავათვალიერეთ დავთრები, მაგრამ პირველ იანვრიდგან ექვსამდის არსად რა იყო ნაჩვენები არც ერთი კაპეიკი, არც შემოსავალში და არც გასავალში. იქნება მართლა კიდეც იყო, მაგრამ ის ფული შეუძლებელია, რომ ბანკისა ყოფილიყო, წინაღმდეგს შემთხვევაში ერთგანაც უნდა წერებულიყო გასავალში, მაგრამ ამას კი მთელი ერთი კვირა არაფერი ჰქონდა ნაწარმოები დავთრებში. ჩვენ მოგვანდეს ანგარიში, და არა მკითხაობა, რომ შეგვეტყო ვისი რა იყო 1-ს იანვარს. აქვე გამოუტყდი ბ. ცხვედაძეს, რომ მას მიეცა ხელ-წერილი ჯერ ისევ წარსულის წლის ნოემბერში მ. თევდორე ბულისაშვილისთვის, რომ უნდა ბანკის კასიდამ მიილო ჩვიდმეტი თუმანი თავის ფულის სარგებელიო. ეს ფული ც—ძეს გასავლის დავთარში ჰქონდა მოხსენებული. ერთის სიტყვით აქ არ აღმოჩნდა არც 101 მან. და 80 კაპ. და არც ჩვიდმეტი თუმანი—სულ 271 მანეთი და 80 კაპ. ც—ძე ახირდა დავთრებიდგან იანგარიშეთო. კაცისთვის რაც ბანკი დაარსდა ერთხელ არავის უანგარიშნია და ჩვენთვის ხელ-და-ხელ განა შესაძლებელი იყო ეს. რო გაჭირდა საქმე და აღარ გვეშვებოდა, ათი წამის განმავლობაში შევკეცეთ მისივე გამოყვანილი თვიური ჯამები და მეტიც გამოვიდა. კიდეც იმიტომ იყო ისე ახირებული გინდათ, თუ არა დავთრიდგან იანგარიშეთო. ან ეს 101 მან. 80 კაპ. რომ თითონ მას არ ეჩვენებინა, განა კი ვინ იყო მოდავე.

*) იხილე „თეატრი“ № 18.

ეს ერთი უთანხმოება სრულიად საკმარი იყო Cხვედაძისათვის, რომ აეკლო იქაურობა, არ შემიძლიან ლ. ბულისაშვილთან ერთად ვაწარმოო ბანკის საქმეო, თუ არა მ. თევდორე ბულისაშვილთან და ნიკ. ჟურდაშვილთანაო!.. მე მისურვა ხალხმა, მე მომენდო და ის კი უარს ჰყოფს. აი რამდენად პატივს სცემს ეს თვით მოწოდებული მეფე საგარეჯოსი საზოგადოების აზრს! თუ არა დამერწმუნე ბ. C—ე, რომ თქვენც კი რომ გესურვებინეთ მაინც უარს ეყოფდი ამორჩევაზედ. ხომ მოგეხსენება ქართული ანდაზა: „ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო“,—მართალია არა ვარ დიდი სარჩოს პატრონი, მაგრამ ერთი პატარა ოჯახი მეცა მაქვს, რომელსაც ჩემი თავი ძრიელ ესაჭიროვება და აბა გკითხავთ: სახელს მომცემს თითქმის მუდამ დღე თქვენს ბანკში ტანტალი და საკუთარის საქმის კი დაცარვა?... ათს წამში, როდესაც ჩვენ სამი კაცი უანგარიშებდით მას, სწორედ ათ ჯერ ძლივს-ძლიობით დავაშოშმანეთ. ახში გულმა ვეღარ დაუტია და პატიოსანი ცხვი-რი დამაგაზა.. ..

წინა ყრილობა, როგორც მოგახსენეთ, 21-ს თებერვლისა ჩაიშალა, რადგან სამს პირს მოგვანდეს გაგვეგო ნამდვილად აკლდა ფული კასას, თუ არა და ხელ-მეორე ყრილობა გადიდო 2 მარტისთვის. დანიშნულს დღეს იგი კიდეც მოჰხდა, მაგრამ ისე კი, რომ მასზედ არ დასწრებია არც ერთი ნინოწმინდელი, არც ერთი ახბულახელი, არც გიორგი-წმინდელი, არც ბერთუბნელი, პატარძეულელი და არც ხაშმელი, გარეჯელებსაც გაეგოთ მხოლოდ იმ დღეს დილით სოფლის გზირების პირით, ისიც რასაკვირველია ყველას არა. თვით განაჩენზედ უწერიათ ხელი მხოლოდ ცამეტს კაცს, თუმცა ამხანაგობაში ითვლებიან 700-დის. ეს იმისგან მოხდა, რომ უწყებაები არავის მოჰსვლია და თუმცა ზოგიერთთ კიდეც ვიცოდით, მაგრამ ჩვენთან ერთად ორი სამი გვარეულობა, რომლიდგანაც შესდგება აქაური ინტელიგენცია, იძულებული იყო ყრილობაზედ ვერ დასწრებოდა, შინაური უბედური შემთხვევის გამო. ერთის სიტყვით, როგორც ბ. C—ძეს უნდოდა საქმეც ისე მოუხერხდა. თავმჯდომარედაც თითონვე ყოფილიყო. ჩვენ ვთხოვთ ანგარიშს, ის-კი ჯდება თავმჯდომარის სკამზედ და თავის თავს თითონვე ართმევს ანგარიშს. ამის შემდეგ განა კიდე ვისმელა ხმა ამოელება, რომ ჩვენა გვაქვს წესდებულება და მითი ხელმძღვანელობთო? ყრილობაზედ თურმე ერთი მეორეს არ აცლიდა: ვისაც უნდოდა თავის თავს გამგე კომიტეტში ირჩევდა, ვინ რჩევისაში და სხ. ეს ყრილობა მთელი ხალხის სასაცილო და სალაპარაკო შეიქნა. ჯერ უიმისოდაც ზედამხედველი კომიტეტი თავს არ იციებდა და ეხლა, რომ მითომ არც-კი ყოფილა იგი, ისე უნდა ჩავთვალოთ. გამგეშიაც იმავე C—ს ნ. ჟურდაშვილია და ერთიც თანამოაზრე ავეტიქა.

ყრილობა რომ თავდებოდა, მამასახლისი მეზვერიშვილი მიუბრუნდა ხალხს და Cხვედაძეს ქება და დიდება შეასხა და გაათავა იმითი, რომ წლევანდელი მოგება ჯამაგირს გარეშე სამოცდა სამი თუმანი და ექვსი მანეთი ამოდენა შრომაში ვაჩუქოთო. ნაცვალმა კანდიდატმა, ხარჯის ფულის მკრეფავმა და ორიოდ ნათლია სვინამ ხმა მისცეს. თითონ C—ეც. ეუბნება ხალხს: «ვისაც არ გინდათ ეს ფული მაჩუქოთ ადექით, ვისაც გინდათ და ისხედით» ხალხიც ალაგიდგან არ დაძერილა.

ერთის სიტყვით ცხვედაძემ გაიმარჯვა და წამსვე დაიწყეს განაჩენის წერა. ეხლა ყველა სოფლებიდგან თხოვნეებს ამზადებენ ხალხის ხელის მოწერით, რომ 2 მარტის ყრილობა უკანონოა და არ ეთანხმება ხალხის სურვილს და თხოულობენ სხვა ყრილობის დანიშვნას. აი თუ აპატიებენ, მაშინ კი შეუძლიან ბ. Cხვედაძეს ხმა მაღლა სთქოს: თქვენ გშურთ მე რომ მაჯილდოებენ და იმისთვის ჰჭინჭრობთო. უეჭველია ჩვენც ქედს მოვიხდით და სხვებთან ერთად უმდაბლესად თავს დაუკრავთ.

ზოგიერთნი, გაჯერებულნი ამ გვარის თავხედობით, უკვე გამოვიდნენ ამხანაგობიდგან და მ. თევდორე ბულისაშვილმა გამოუცხადა შესანახავად შეტანილის ფულის გამობრება. ამ უკანასკნელს რამდენიმე ასი თუმანი აქვს შეტანილი.

ლ. ბულისაშვილი.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 მაისს, დრამატიულმა საზოგადოებამ იდღესასწაულა მეორმოცდა-ათე წელიწადი ბოგოლის უკვდავი კომედიის **რევიზორის** პირველად სცენაზედ დადგმა. წარმოდგენილი იყო მე-2 და მე-3 მოქმედება **რევიზორისა**. წარმოდგენის წინად, როგორც კი აიხადა ფარდა, მაყურებლებს შემდეგი სურათი წარმოუდგა: სცენა მშვენივრად იყო მორთული, სცენის ერთ ამაღლებულ, წითელის მაუდით დაფენილს და ყვავილებით მორთულ ადგილზე ბოგოლის სურათი იდგა. სცენაზე იდგნენ არტისტები, დრამატიული საზოგადოების წევრნი და ჩვენი ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიერი პოეტი ა. წერეთელი. ყველა ამათ ეჭირათ ხელში დაფნის გვირგვინები. სურათის წინ წარსდგა დრამატიული საზოგადოების წევრი ნ. ავალიშვილი და წაიკითხა წერილი ბატ. ბოგოლის მნიშვნელობაზე რუსეთის მწერლობაში, მერე ვ. თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად ბ. თხორჟევსკის ლექსი, ამ შემთხვევისთვის დაწერილი. ამის შემდეგ აკაკიმ მშვენიერათ წაიკითხა თავისი ჩინებული ლექსი, რომელმაც მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. აი ეს ლექსი:



ოდესაც უგნურებას,
გაბერილსა დიდებას
ყოველ-გვარ საძაგლობას
და ცრუ ჭეშმარიტებას.....

—

როდესაც ცრუ-მგოსნები
ადიდებდნენ ცრუ-ღმერთებს
და მით თვრისეულობა
თამამად ისსამდა თრთებს,

—

მაშინ გაისმა სადსში
ხმა, რადაც უჩვეულო
და იმ ხმამ კიდით-კიდე
ელვასავით შემოვლო...

—

შეკრთა მოულოდნელად
მით მჩაგვრელების კრება
და გამოუსიზღდა უცბად
მტანარე უმეცრება.

—

რა ხმა იყო, ნეტავი,
ყოველ-ხმაზე ძლიერი,
რომელმაც ციურ-ძალით
სცვალა ცხოვრების ფერი?

—

ის ხმა იყო ამ კაცის
უცნაური სარსარი!
ჩაგრულებთა „სალხინო“
და მჩაგვრელების „ზარი“.

—

თურმე ამან ნაღველი
ცრემლებში გაიდესა
და გულში ჩაიგუბა,
სთქვა: „წამდად მსურსო ესა!“

—

სიცილით ამოჭქონდა
წვეთ-წვეთად ის წამალი,
რომ დაბრმავებულების
აესილა მით თვალი.

—

ეუცხოვათ სნეულებს
უჩვეულო ფიალი,
რომ ძალა-უნებურად
შესვეს მათ ის წამალი.

—

და მაშინ კი გაიგეს,
რომ ის, ვისაც სძრახავდნენ,
ბოროტებას სწამებდნენ
და უგულოდ ჭსახავდნენ,

—

თურმე კარგი ყოფილა
ქეთილ-განძრახვით სრული
და მისი ნაღველ-გესლი—
უზომო სიყვარული.

თაყვანი სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოვლინებას
და ჩვენც დღეს პატივსა ვსცემთ
მის ნიჭს და ხელოვნებას.

—

ხელოვნებას არა აქვს
საკუთრება... სამზღვარი!“
ის ყოველ-სალსს ეკუთვნის,
ვით ყველას მაცხოვარი.

—

უცხო არც ჩვენთვის არის
„რეკიზორის“ შემთხზველი—
და თავზედ გვირგვინს ადგამს
ქართველში ქართველთა ხელი.

წერილის და ლექსების წაკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს და ამით გათავდა აპოთეოზი. შემდეგ დაიწყეს წარმოდგენა. არც წარმოდგენამ ჩაიარა ურიგოდ. გოროდნიჩის როლი ითამაშა სცენის მოყვარემ ბ. ანტონ ლორთქიბანიძემ და რიგიანათაც აასრულა. ამ წარმოდგენაზე ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

«თეატრი»-ს კორესპონდენცია.

ფოთი, (6 მაისს). ეკირას, 4 მაისს, ჩვენს კლუბში იყო წარმოდგენილი, ქართული სცენის მოყვარეებისაგან, ორ მოქმედებიანი კომედია «მე მინდა კნეინა გავხდე» და ვოდევილი «კატა აწონა».

კლუბის ზალა თითქმის სავსე იყო ხალხით, თუმცა ეს ძალადატანებით იყო, რადგანაც ბილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს ძალათ ჰყიდდენ, სხვა-და-სხვა პირები. წარმოდგენამ სამწუხაროდ ძრიელ უფერულად ჩაიარა. მოთამაშეებმა სხვა ნაკლულევანების გარდა თავიანთი როლებიც არ იცოდნენ.

ამ წარმოდგენამ ისეთი ცუდი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ, რომ თუ კულავაც ასე დაუდევნელად და უშნოთ გაიმართა წარმოდგენები, მაშინ თქმა არ უნდა, რომ სრულიად შეაძულებენ ხალხს სპექტაკლებზედ დასწრობას.

როგორც ისმის აპირებენ წარმოდგენას ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ის პატივცემული პირები, რომლებიც წარსულ წლებში მართავდნენ წარმოდგენებს და უფრო დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში.

დიდად სასიამოვნო იქნება, რომ ეს აზრი რაც შეიძლება ჩქარა მოიყვანონ აღსრულებაში, რადგან დიდი ხანია ქართველი საზოგადოება რიგიან წარმოდგენაზედ არ დასწრებულა.

ფოთელი.



ფელეტონი

აბაზაძე და მახვილაძე

მეთვრამეტე საუკუნეში, მეფის თეიმურაზის დროს, ზემო ქართლს დაეცნენ სპარსები და აღოხრეს მთელი მხარე, სხვათა შორის სურამის მახლობელს მდებარე ერთ სოფლიდამ რამდენიმე აზნაურის შვილებიც წაიყვანეს ტყვეთ, ამ წაყვანილებში ერთი აზნაური აბზაძეც რეულა. სპარსეთში ჩაყვანის შემდეგ ზოგი სპარსეთის ყეინისთვის მიურთმევიათ სასახლეში ფეშქაშათ და ზოგნიც სხვა-და-სხვა ხანებისთვის, სარდლებისთვის დაურიგებიათ. სხვათა შორის აზნაური აბაზაძე ყეინის სასახლეში დაუტოვებიათ... იმ დღიდამ აბაზაძეს დაუწყია მეცადინეობა, რომ როგორმე ყეინის კარიდამ განთავისუფლებულიყო და საქართველოში დაბრუნებულიყო. ამ ოცნებებით სავსე აბაზაძე ხშირად სთხოვდა ხოლმე ყეინს, რომ გამანთავისუფლეო, მაგრამ ყეინისაგან ყოველთვის შეუწყნარებლად რჩებოდაო.

აბაზაძე დარჩა სპარსეთში. ამის იქ ყოფნის დროს, ისარგებლა მისმა მეზობელმა აზნაურმა მახვილაძემ. ამ აზნაურის შვილმა მეფეს მიართო თხოვნა და განუცხადა აზნაური აბაზაძეს მოტაცების ამბავი. ბოლოს დამტკიცებითი დაუმატა, რომ აბაზაძე იქ მომკვდარაო, იმისაგან დატოვებულს მამულებს მე ვიცავდიო, მტრებისაგან მე გადავარჩინე, და აბიტოდ გთხოვ, რომ მისგან დატოვებული მამული, ყმები და სხვა ყველაფერი მე მაჩუქოთო. მისმა სახლი კაცის შვილებმა ხელი არ მოჰკიდეს მას, აქამდის მე განვაგებდიო. აბაზაძის სიკვდილის გამო, მეფემ დარწმუნებითი ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, რომ აბაზაძეს სიკვდილი სინამდვილით დაამტკიცონო, რომ ის მართლა, მოკვდა და მისი შვილებიც არა ჰპატრონობდნენ, არ უვლიდენ მის მამულსაო. ამის დასამტკიცებლად ჭეშმარიტი მოწმები მოიყვანე, იმათ დაამტკიცონ ესა და შემდგომ ადვილია, რომ იმის მამულზე შენ დაგასახლოთო. მეფის ამ გვარი პასუხისა და წინადადების შემდეგ, მახვილაძემ თანხმობა განუცხადა მეფესა და უთხრა, რომ დღესვე წავალ და ხვალვე მოვიყვან აქ მოწმებსაო. მახვილაძე წავიდა თავის სოფლისკენა, იქ იმან იშოვნა რამოდენიმე თავისავვე ზნეობა წამხდარი პირნი, დაქრთამა ესენი და სთხოვა, რომ მეფესთან წამომყვევით და მიმოწმეთო. მოწმად არჩეულმა პირებმა ფიცი მისცეს, თანხმობა განუცხადეს, რომ ყოველივეს ისე დავამტკიცებთ, რომ ვითომც ჩვენ ჩვენის თვალით გვინახამსო. მეორე, მესამე დღეს მახვილაძე თავის ცრუ მოწმებით წამოსულან მეფესთანა. მეფეს მიუღია ყველა ესენი. მიღების შემდეგ თითო-თითო მოწამე შეუხმიად და მეფეს უკითხავ ყოველივე დაწვრილებით, თუ იმან რა იცის აბაზაძის სიკვდილისა და მამულის დარჩენის შესახებ.

პირველმა მოწამემ დაუმტკიცა, რომ ყველაფერი მართალია, რაც მახვილაძეს უთქომსო. აბაზაძე რომ ტყვეთ წაიყვანეს, მეც ტყვეთ ვიყავ წაყვანილიო, სადაც აბაზაძე იყო, მეც იქ ვიყავი, მისი სიკვდილი მე ჩემის თვალით ვნახე. მას შემდეგ აგერ ეს ოცდახუთი წელიწადი იქმნება.

— შენ როგორ განთავისუფლდი? ჰკითხა მეფემ.

— მე, დიდებულო მეფეო, ვერ გავნთავისუფლდებოდი, მაგრამ, შაჰის, ერთხელ ძვირფასი თვლები დაეკარგა და ის თვლები ჩემდა საბედნიეროდ მე ვიპოვნე და მაშინათვე წარუდგინე. ამის გამო ყეინმა ისურვა ჩემი განთავისუფლება და საქართველოში მოსვლა. მეფეს ესიამოვნა ეს. შემდეგ ისიც შეატყობინა, რომ მე აზნაურის შვილი ვარო.

მეორე მოწამესაც ასევე დაუმტკიცებია, რომ აბაზაძე მოკვდაო, იმის მამულებიც ოხრად დარჩაო და შემდეგ მახვილაძე დაეპატრონა და ყოველისფერს დაუწყო შემუშავებაო. როგორც მეორემ აგრეთვე მესამე მოწამემაც ასევე დაამტკიცა. მეფე დარწმუნდა და ბოლოს ინება მამულების ჩუქება. დასამტკიცებელი ქაღალდი მისცეს, ზედ მეფემ მოუწერა ხე-

ლი, სამეფო ბეჭედი დაასვა და შიგ დასამტკიცებელს წერილში დაწვრილებით მოიხსენეს აბაზაძის ამბავი, მახვილაძის და მისის მოწმებისა. ამის შემდეგ მახვილაძე დაბრუნდა თავისკენ და აბაზაძის მამულებს დაუწყო პატრონობა და გამგეობა. ხალხშიაც ის გავრცელდა და გამოირკვა, რომ აბაზაძის მამული მეფეს მახვილაძისთვის დაუმტკიცებიაო.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, მახვილაძეს ისე მოუხერხებია, რომ აბაზაძის მამულებს გარდა მის ყმებსაც კი დაჰპატრონებია. ყმათ ჯერ კი უარი განუცხადებიათ, მაგრამ შემდეგ-კი დასთანახმებიან. ბოლოს ეს საქმე მეფესთანაც მიუტანიათ და მეფესაც დაუმტკიცებია მახვილაძისთვის აბაზაძის ყმანი. მახვილაძემ დაიწყო გამგეობა აბაზაძის მამულზე და ყმებზე. გავიდა რამდენიმე ხანი. ამ ხნის განმავლობაში მახვილაძემ უფრო გაიმაგრა ფეხი და ისაკუთრებდა სამუდამოდ აბაზაძის მამულებს. ერთხელ გაზაფხულის პირზე, მახვილაძემ თავის მოყმე ხელოსანთ კალატოზ გლეხებ დააწყებინა კოშკის შენება. ამ კოშკის შენებამ კარგა ხანს გასტანა. ერთ დღეს, როდესაც მუშები გახურებულნი მუშაობდენ, ამ დროს, აზნაური მახვილაძეც თავზე ადგა და უჩვენებდა მუშებს, თუ ვის როგორ უნდა ემუშავნა, სად როგორ უნდა აეტანად კედელი და სხვანი. ამ გვარის დარიგებით ხშირად წინამასწრობაც იცოდა და ამით მუშა ხელოსნებსაც მეტის-მეტად აწუხებდა. სწორედ ამ დღეს, რომელიც ჩვენ მოვიხსენეთ, მახვილაძემ ერთობ გაუჭირა საქმე ერთ კალატოზს. კალატოზი რომ მოთმინებიდამ გამოვიდა, ბატონს უთხრა მოწყენით:

— მაცალე, ბატონო, და მე ვიცი როგორც ავიტან ამ კედელს.

— შე ძაღლო, შენ ვის ეუბნები მაგას, მიუგო გაცხარებით მახვილაძემ.

— მე, ბატონო, ცუდი არაფერი მითქვამს, მიუგო კალატოზმა.

ამ დროს აზნაური მახვილაძე ისე გაცეცხლდა, ისე აღელდა, რომ წამოაგლო ერთ ვეება ქვას ხელი და პირ-და-პირ საფეთქელში სდრუზა თავის ყმა-კალატოზს. კალატოზს მოხვდა თუ არა ქვა, მაშინადვე დაეცა დედა-მიწაზე და რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ სულიც დალია. ვიდრე სულს დალევდა, ბატონმა მახვილაძემ დაუწყო ყვირილი თავის ყმებს, რომ წამოაყენედ და წაიყვანედ შინისკენო. ყმა-კალატოზნი და მუშანი მიუახლოვდნენ დაჭრილს და წაიღეს შინისკენ. ზოგიერთ მუშათ ისევ განაგრძეს კოშკის შენება. რამდენიმე წუთის შემდეგ აზნაური მახვილაძეც განემგზავრა თავის სახლისკენ.

ამ ალიაქოთისა და ბატონისაგან ყმის მოკვლის დროს, კოშკის მოშორებით ერთი მოხუცებული კაცი იდგა და უცქეროდა ამ შემთხვევას. როდესაც აზნაური მახვილაძე შინისკენ გაემგზავრა, ეს მოხუცი კაცი მივიდა კოშკის მახლობლივ და იქ მომუშავეთ ჰკითხა თუ ვინა ხართ თქვენ, სადაურები, ან ის კაცი ვინ არის, წელან რომ ერთ თქვენთაგანს ქვა დაარტყა თავში და მოკლაო. კოშკთან მდგომ მუშებმა მიუგეს, რომ ეს ჩვენი ბატონი არისო. აქამდის ჩვენ აზნაურის აბაზაძის ყმებათ ვიყავით და აგერ ეს ოცი წელიწადი იქმნება რაც ის ჩვენი ძველი ბატონი ტყვეთ არის წაყვანილი და სპარსეთში სცხოვრებსო. ზოგნი იძახიან, რომ ცოცხალიაო, მაგრამ ამ ავმა კი ყველა დაარწმუნა რომ აბაზაძე მოკვდაო, თვით მეფეც კი დააჯერა. ამ გვარის ხრიკებით საქმე იქამდის მიიყვანა და ისე იმოქმედა თვით მეფეზედაც, რომ იმ ჩვენი ბატონის აბაზაძის მამულები მთლად ამას დაუმტკიცეს. შემდეგ ჩვენც წამოგვედავა, მაგრამ ჩვენ უარზე დავუდექით. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და მეფემ ჩვენც გვაყმო მას. იმ დღიდამ ამ დღემდის ჩვენს ჯავრს ჭყრილობს და აი ასე ამისთანა ცეცხლში ვართ ამისაგან ყოველთვის. საქმე რომ იყოს და ერთი რამ სასარგებლო სიტყვა შეუბრუნოთ მაშინათვე სუ ტყავს აგვაძრობს და მიწასთან გაგვასწორებს. ეს ამბები რომ დაასრულა მუშამ, ამ დროს ამ მოხუცმა კაცმა გახარებით წარმოსთქვა და შეატყობინა ყველას შემდეგი:—მე აზნაური აბაზაძე ვარ, თქვენი ნაბატონარი, სპარსეთში ტყვეთ რომ წამიყვანეს, ის მე ვარ. აქამდის სპარსეთში ვიყავი, ამ ბოლოს დროს თავი დავიხსენი, ყეინმა გამანთავისუფლა და საქართველოში წამოვედი; აი, დღეს ამოველ აქა და ეს ადგილები ვიცანი კიდეცა და ამიტომ დათვალიერება დაუწყე აქაურს მიდამოებსა. მაგრამ კარგათ კი ველარ განვსაზღვრე და ვერც თქვენ გიცნობთ.

ამ ამბის შემდეგ აზნაური აბაზაძე გამოცხადდა თავის სოფელში და გამოაცხადა თავის თავის ამბები. ამ ამბებისა და გამოცხადების შემდეგ აზნაურს აბაზაძესა და მახვილაძეს შუა ატყდა შფოთები, დავა და საჩივრები შესახებ თავიანთის საქმეებისა და ეს საქმე დღემდისაც სწარმოებს.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 10 майя

Редакторъ и издатель Г. Абашидзе.

Типографія Меликова. Стам. Меликвишвилисъ.